



ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა №05

2012 წლის 17 იანვარი
ქ. ქობულეთი

შ.პ.ს. „დელტა-კომში“-სათვის ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკაბელო სისტემისა და კანალიზაციის მშენებლობაზე თანხმობის მიცემის შესახებ

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2011 წლის 11 მაისის №38 განკარგულების საფუძველზე შ.პ.ს. „ა-ნეტ A-NET“-ი ახორციელებდა ქ.ქობულეთის ტერიტორიაზე ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკაბელო სისტემისა და კანალიზაციის მშენებლობას.

2011 წლის 28 დეკემბერს შ.პ.ს. „დელტა-კომში“-ა (ს/კ 204991795) წერილობით მომართა ქობულეთის მუნიციპალიტეტს, რომ შ.პ.ს. „ა-ნეტ A-NET“-საგან შეიძინა ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 11.05.2011 წ. №38 განკარგულებით მინიჭებული ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკაბელო სისტემისა და კანალიზაციის მშენებლობის (ხაზობრივი ნაგებობის) უფლება. ამასთან შ.პ.ს. „დელტა-კომში“ თანახმაა განახორციელოს აღნიშნული განკარგულებით შ.პ.ს. „ა-ნეტ A-NET“-ისათვის დაკისრებული ვალდებულებები, თანახმად 2011 წლის 2 ივნისს „ა-ნეტ A-NET“-სა და შ.პ.ს. „დელტა-კომში“-ს შორის გაფორმებული ხელშეკრულებისა.

„მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების მე-13 მუხლის მე-2 პუნქტის, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტისა და 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ძ“ ქვეპუნქტის შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა შ.პ.ს. „დელტა-კომში“-ს ქ.ქობულეთის ტერიტორიაზე აწარმოოს ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკაბელო სისტემისა და კანალიზაციის მშენებლობა ქობულეთის მუნიციპალიტეტს 2011 წლის 11 მაისის №38 განკარგულებით გათვალისწინებული პროექტის შესაბამისად.

2. შ.პ.ს. „დელტა-კომში“-ა ქ. ქობულეთის ტერიტორიაზე ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკაბელო სისტემისა და კანალიზაციის მშენებლობისათვის საჭირო ნებართვის მისაღებად დაკავშირებული პროცედურები აწარმოოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3. გაფრთხილდეს შ.პ.ს. „დელტა-კომში“-ი მასზე, რომ სახელმწიფო პროგრამით დაგეგმილი განაშენიანების სამუშაოების ჩატარების საჭიროების შემთხვევაში საკუთარი ძალებით უზრუნველყოს საკაბელო ტრასის ადგილმონაცვლეობა.

4. შ.პ.ს. „დელტა-კომმ“-ა უზრუნველყოს ოპტიკურ-ბოჭკოვანი საკაბელო სისტემისა და კანალიზაციის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაციის შეთანხმება ქ.ქობულეთში არსებული სხვა საინჟინრო-კომუნალური ქსელების მეპატრონეებთან. (შ.პ.ს. „ფოპნეტი“, შ.პ.ს. „სილქნეტი“-ს აჭარის ფილიალი, ს.ს. „ენერგო-პროჯორჯია“, შ.პ.ს. „ქობულეთის წყალკანალი“, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის საავტომობილო გზებისა და სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტემენტი).

5. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეს (ე.ბაგრატიონი);

6. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№-30).

7. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

ნ. ბერაძე